საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური

ქ. თბილისი **12 ივლისი, 2023 წელი**

„სატენდერო და საკონკურსო კომისიისა და სატენდერო და საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2023 წლის 12 ივლისის N 16858 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში და ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების (CPV45312100 - სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
მიხეილ ახვლედიანი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
ზვიად პაპიძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

სატენდერო კომისიის წევრები:
ლაშა სხიერელი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
დიმიტრი მუჯირი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
გიორგი ყენია - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
ნოე მამულაშვილი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი;
გივი ცქვიტინიძე - ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
სოფიკო მდინარაძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:
სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში და ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების (CPV45312100 - სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი) **სახელმწიფო შესყიდვის აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.**

მოისმინეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა სოფიკო მდინარაძემ, სატენდერო კომისიის დამსწრე წევრებს, მოახსენა, რომ სსიპ **შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში, ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2023 წლის 22 ივნისს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე **(NAT230013092)** შეწყდა და ვინაიდან ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, მიმდინარე ეტაპზე საჭიროებას აღარ წარმოადგენს სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება აღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით ხელახალი ტენდერი ცხადდება **სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში და ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების** შესყიდვაზე.
შესაბამისად, სხდომაზე დასამტკიცებლად ხელახლა წარუდგინა სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში და ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების (CPV45312100 - სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვის აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. ასევე, ფინანსური დეპარტამენტის შტატგარეშე თანამშრომლის N58494-21-02 და N93454-21-02 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დავალება და გახორციელებული ბაზრის კვლევის შედეგები (სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს N59033-21-02 მოხსენებითი ბარათი). კერძოდ:

ზუგდიდის სერვისცენტრი
დაინტერესებული პრეტენდენტი N1-ის შემოთავაზება - 14 443.92 ლარი, დაინტერესებული პრეტენდენტი N2-ის შემოთავაზება - 17 671.84 ლარი.
ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობა
დაინტერესებული პრეტენდენტი N1-ის შემოთავაზება - 8 378.26 ლარი, დაინტერესებული პრეტენდენტი N2-ის შემოთავაზება - 12 545.13 ლარი.

განიხილეს:
სატენდერო კომისიის დამსწრე წევრები გაეცნენ სატენდერო კომისიის აპარატის მიწოდებულ ინფორმაციას და განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სატენდერო კომისიის დამსწრე წევრებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგზე:

- შესყიდვის საშუალებად განისაზღვროს **ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT).** ტენდერი გამოცხადდეს არაუმეტეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს - 22 822.00 **(ოცდაორი ათას რვაას ოცდაორი ლარი და 00 თეთრი)** ლარი (დღგ-ს გათვალისწინებით);
- სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) სამუშაო დღე;
- შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადად განისაზღვროს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 1 (ერთი) წელი.
- შესყიდვის დაფინანსების წყაროდ განისაზღვროს - 2023 წლის სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრები.

სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ტენდერის სავარაუდო ღირებულების, ასევე შესასრულებელი სამუშაოების სირთულისა და მოცულობის, მიწოდების ვადის და ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით განისაზღვრა, პრეტენდენტის გამოცდილების მიმართ ქვემოთ მოცემული მოთხოვნები.

1. პრეტენდენტს უკანასკნელი 3 (სამი) (2020 წლის 12 ივლისიდან ტენდერის გამოცხადების თარიღამდე პერიოდი) წლის განმავლობაში უნდა გააჩნდეს სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟის გამოცდილება და ამ პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჯამური ღირებულება არ უნდა იყოს **22 822.00** ლარზე ნაკლები.
   კერძოდ, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ჰაერის კონდიცირების საშუალებების მიწოდების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით) შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ი და აღნიშნულის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურები) ან/და წარმოდგენილი უნდა იქნას SPA ან/და NAT ან/და CMR ნომრები.

არსებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზარზე ოპერირებს მიმწოდებელთა საკმარისი რაოდენობა, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა ტენდერში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში დააკმაყოფილონ სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნები.

სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები ერთხმად დაეთანხმა ზემოაღნიშნულ პირობებს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიამ დაადგინა:

1. სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით დამტკიცდეს, სსიპ შემოსავლების სამსახურის ქუთაისის სერვისცენტრში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩასატარებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების პროექტი წინამდებარე ოქმზე თანდართული დანართების შესაბამისად;
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT) გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

კომისიის თავმჯდომარე: **მიხეილ ახვლედიანი** ----------

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **ზვიად პაპიძე** ----------

სატენდერო კომისიის წევრები:

ლაშა სხიერელი ----------

ნოე მამულაშვილი ----------

გივი ცქვიტინიძე ----------

დიმიტრი მუჯირი ----------

გიორგი ყენია ----------

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი **სოფიკო მდინარაძე** ----------

LEPL REVENUE SERVICE
Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE
Date: 2023.07.12 18:08:17 +04'00'

შესყიდვა დასრულდება ძირითად დროში. დამატებითი რაუნდები არ გაიმართება	
შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე(NAT)
განცხადების ნომერი	N/A
შესყიდვის სტატუსი	განცხადების პროექტი
შემსყიდველი	შემოსავლების სამსახური
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	
წინადადებების მიღება იწყება	14.07.2023 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	17.07.2023 13:00
დაფინანსება	2023 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	22`822.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

დამატებითი რაოდენობრივი

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 45312100 - სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	228.00 GEL
გარანტიის ოდენობა	228 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში და ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა.

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში და ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა.

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

1.მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრში და ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟის სამუშაოები;

2.მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დანართი №1.1-ში და დანართი №1.2-ში მოცემული მინიმალური პარამეტრების მქონე სახანძრო სიგნალიზაციისა და ხანძარსაქრობი მოწყობილობების სისტემების მონტაჟი, ინსტალაცია/კონფიგურაცია და ექსპლუატაციაში გაშვება, მწარმოებლის ტექნიკური მოთხოვნების და რეკომენდაციების დაცვით;

3.მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესს გაუწიოს მონიტორინგი (ზედამხედველობა), რომლის განმავლობაშიც არანაკლებ 3 თვეში ერთხელ უნდა მოახდინოს სრული შემოწმება და სწორი ექსპლუატაციის პირობებში აღმოჩენილი დეფექტების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით, რაზეც გაფორმდება შესაბამისი აქტი;

4.სამუშაოს შესრულება უნდა განახორციელოს ტექნიკური დავალებით დადგენილი პირობებისა და წესების, ასევე მოქმედი სახანძრო უსაფრთხოიების სტანდარტების დაცვით;

5.მიმწოდებელმა სამუშაოების წარმართვა უნდა უზრუნველყოს შეფერხების გარეშე. სამუშაოს მასშტაბის შესაბამისად სამუშაოს შესრულება უნდა უზრუნველყოს შესაბამისი რაოდენობის, სანდო, სათანადო უნარ/ჩვევების მქონე პერსონალით და შესაბამისი ტექნიკით;

6.სამუშაოს შესრულების პროცესში გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება;

7.სამუშაოებისას გამოყენებული ნებისმიერი მასალა ან/და მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. შემსყიდველი უფლებამოსილია კონკრეტულ შემთხვევებში ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმწოდებელს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის გონივრულ ვადაში წარმოდგენა;

8.სამუშაოს შესრულების პროცესში უზრუნველყოს ხარისხისა და სამუშაოების მიმდინარეობის ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;

9.მიმწოდებელმა უნდა გამოყოს ობიექტზე პასუხისმგებელი პირები და უზრუნველყოს სამუშაოების წარმოება მათი მუდმივი ზედამხედველობით;

10.მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სამუშაო ფართის დასუფთავება, მონტაჟით გამოწვეული ნარჩენების მოგროვება და ტერიტორიიდან გატანა;

11.ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნულის შედეგად წარმოშობილ

ზიანზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება მიმწოდებელს;

12. პრეტენდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაუმჯობესებული ტექნიკური პარამეტრების მქონე დეტალების შემოთავაზების;

13. სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 კითხვარით მოცემული პირობები გათვალისწინებული იქნება გასაფორმებელი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში.

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

დანართი N 1.xlsx

დანართი N 1.1 - ზუგდიდის სერვისცენტრი (დეტალური განფასება).xlsx

დანართი N 1.2 - ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობა (დეტალური განფასება).xlsx

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

სსიპ შემოსავლების სამსახურის ზუგდიდის სერვისცენტრის, ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობის და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟი უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ 90 (ოთხმოცდაათი) სამუშაო დღეში.

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

სამუშაოების შესრულების ადგილებია:

1. ზუგდიდის სერვისცენტრი - ქ. ზუგდიდი, გამარჯვების ქუჩა № 1
2. ლაგოდეხის სერვისცენტრის წარმომადგენლობა - ლაგოდეხი, ქიზიყის ქუჩა № 25

1.6 მიუთითეთ შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა

ა) სწორი ექსპლუატაციის პირობებში საგარანტიო პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 წელს, რომელიც აითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.
ბ) საგარანტიო პერიოდში წუნის/დეფექტის გამოვლენის ან დაზიანების შემთხვევაში შესყიდვის ობიექტი უნდა შეკეთდეს ან შეიცვალოს ახლით, შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
გ) წუნის/დეფექტის/დაზიანების გამო შეკეთების ან ახლით შეცვლის შემთხვევაში, ხარჯების გაწევა უნდა უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

კი

2.1.1 მიუთითეთ, თუ რა ინფორმაცია მოითხოვება შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშანთან, პატენტთან, მოდელთან, წარმოშობის წყაროსთან ან/და მწარმოებელთან დაკავშირებით

პრეტენდენტი ვალდებულია ორივე ობიექტის ფასების ცხრილში (დანართი N1.1, დანართი N1.2) პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პოზიციებზე, მიუთითოს შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია და მოდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის სატენდერო პროცედურებიდან დისკვალიფიკაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

კი

2.2.1 მიუთითეთ პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, უკანასკნელი 3 (სამი) (2020 წლის 12 ივლისიდან ტენდერის გამოცხადების თარიღამდე პერიოდი) წლის განმავლობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟის გამოცდილება და ამ პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჯამური ღირებულება არ უნდა იყოს 22 822.00 (ოცდაორი ათას რვაას ოცდაორი ლარი და 00 თეთრის) ლარზე ნაკლები.

კერძოდ, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ი და აღნიშნულის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურები) ან/და წარმოდგენილი უნდა იქნას SPA ან/და NAT ან/და CMR ნომრები.

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

კი

2.7.1 მიუთითეთ ლიცენზიასთან, სტანდარტებთან, აკრედიტაციასთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს დანართი N1.1-ის და დანართი N1.2-ის პირველ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პოზიციით განსაზღვრულ მოწყობილობებზე, შემოთავაზებული სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მწარმოებელი კომპანიის მიერ ოფიციალურად დადასტურებული

დეტალური ტექნიკური მახასიათებლების შესახებ დოკუმენტი (ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული) ან მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური ვებ-ბმული.

აღიშნული ინფორმაციიდან შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც შემოთავაზებული სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებელი კომპანიის და მოდელის, ასევე მისი სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 კითხვარით განსაზღვრული დეტალური ტექნიკური მახასიათებლის შესახებ ინფორმაციის იდენტიფიცირება.

აღნიშნული ინფორმაციის, შემოთავაზებული სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური ვებ-ბმულის სახით წარმოდგენის შემთხვევაში ქართულ ენაზე თარგმნა და ნოტარიულად დამოწმება არ მოითხოვება;

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

1.შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ამასთან შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნილი დოკუმენტების დედანი ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი (ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული) ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ (უფლებამოსილი პირის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას (ატვირთულ უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში) უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი).

2. ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისას პრეტენდენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს (არ უნდა იყოს დარღვეული) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დანართების ფორმები (მათ შორის ნუმერაცია) და არსებობის შემთხვევაში მათში მითითებული აუცილებელი პირობები.

3. თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი დაჯდება მრავალნიშნა ათწილადი, პრეტენდენტი ვალდებულია შეამციროს და დაამრგვალოს მეასედებამდე.

4. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიული წესით დამოწმებული, გარდა წინამდებარე ტენდერის 2.7.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული გამონაკლისისა;

5. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

6.სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ).

7.სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

8.„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტები უნდა იყოს კვალიფიცირული

ელექტრონული შტამპით ან კვალიფიცური ელექტორნული ხელმოწერით დამოწმებული.

9. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნილი დოკუმენტების დედანი ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

4.1.1.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით, ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საშემფასებლო ან აუდიტის ან ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნასთან ერთად ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის (როგორც დასკვნის გამცემი კომპანია ასევე დასკვნაზე ხელმომწერი პირები) შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დასკვნის შემთხევაში, დასკვნის გამცემი პირის (როგორც დასკვნის გამცემი კომპანია ასევე დასკვნაზე ხელმომწერი პირები) შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოითხოვება.

4.1.1.2 ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-18 მუხლის მე-6, მე-7 პუნქტებისა და 28-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

არა

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარისწორების ფორმით ლარში.

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული და დამონტაჟებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;
სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილზე მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯი).

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული და დამონტაჟებული საქონლის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის ან შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

სოფიკო მდინარაძე, 599973301, s.mdinaradze@rs.ge

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი